მე-10 კლასი

სავარჯიშო 1. მორფოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

1. რომელი სიტყვის ფუძეა კუმშვად-კვეცადი?
   ა) ნიავი; ბ) სასამართლო; გ) მოყვარე.
2. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კვეცადი სახელი?
   ა) ჰესტია თავისი მშვენიერებით გამოირჩეოდა. ბ) თურმე ძალიან ბევრი რკო იპოვა ბიჭებმა.
   გ) ჰერაკლე საბერძნეთში სახელგანთქმული გმირია.
3. ჩამოთვლილთაგან რომელ ბრუნვებს დაერთვის თანდებული?
   ა) სახელობითი და წოდებითი; ბ) მოთხრობითი და მიცემითი; გ) ნათესაობითი და მოქმედებითი.
4. რომელი თანდებული არ არის მოქმედებითი ბრუნვის?
   ა) -ურთ; ბ) -დან; გ) -მდე.
5. რამდენი სერიაა ქართულ ენაში?
   ა) სამი; ბ) ორი ; გ) ოთხი.
6. რამდენი მწკრივია ქართულ ენაში?
   ა) ათი; ბ) თერთმეტი; გ) თორმეტი.
7. რომელი მწკრივის კითხვებია: რას ვიზამ? რას იზამ? რას იზამს?
   ა) წყვეტილის; ბ) ხოლმეობითის; გ) მყოფადის.
8. რომელია ხოლმეობით-შედეგობითის მწკრივის ფორმა?
   ა) ვამზადებ; ბ) დავამზადებდი; გ) დავამზადე.
9. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი?
   ა) რაღაც უცნაური ხმა შემოესმა და იქით გასწია.
   ბ) - კაცო, ამ ჩვენს ავგიას მგონი თავში ქარი ჩაუვარდა!
   გ) ჰერაკლე ზევსის შვილი იყო და იმ დროის უპირველესი გმირი.
10. რომელ წინადადებაშია არასწორად დაწერილი კომპოზიტი?
    ა) პერსევსმა ყველა პირში ჩალა გამოვლებული დატოვა. ბ) მეტად დაღონებულმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.
    გ) მედუზა გორგონა სიკვდილისა და ქვადქცევის სიმბოლოდ ითვლება.

სავარჯიშო 2. სინტაქსი - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

11. ჩამოთვლილთაგან რომელია წინადადების მთავარი წევრები?
    ა) დამატება, განსაზღვრება, გარემოება; ბ) ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება;
    გ) შემასმენელი, პირდაპირი დამატება, გარემოება.
12. რომელია ქვემდებარის ბრუნვები?
    ა) სახელობითი, ნათესაობითი; ბ) სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი;
    გ) მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი.
13. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა: „კლდეზე <u>მიჯაჭვული</u> ასული ანდრომედა აღმოჩნდა.“ ?
    ა) ქვედებარე; ბ) დამატება; გ) განსაზღვრება.
14. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა: „უფლისწულ <u>იასონს</u> სამეფო ტახტში ბიძა ეცილებოდა.“ ?
    ა) განსაზღვრება; ბ) ირიბი დამატება; გ) შემასმენელი.
15. როგორია წინადადება აგებულების მიხედვით: „რა ბევრი ფიქრი უნდა, რომ მუზათა საცხოვრებელ ადგილს დღეს მუზეუმი ჰქვია.“ ?
    ა) მარტივი გავრცობილი; ბ) შერწყმული; გ) რთული ქვეწყობილი.
16. როგორია წინადადება აგებულების მიხედვით: „განაწყენებულმა აფროდიტემ უამრავი დავალება მისცა ფსიქეს, მაგრამ ეროსი ჩუმად ეხმარებოდა სატრფოს.“ ?
    ა) შერწყმული; ბ) რთული თანწყობილი; გ) რთული ქვეწყობილი.
17. როგორია რთული ქვეწყობილის დამოკიდებული წინადადება: „როცა აპოლონმა დაფნესთან გამოლაპარაკება დააპირა, შეშინებული ნიმფა გაიქცა.“ ?
    ა) ქვემდებარული; ბ) დამატებითი; გ) გარემოებითი.
18. რამდენი სინტაქსური წყვილია წინადადებაში: „ჰერაკლეს მეთორმეტე გმირობად ღმერთებმა ოქროს ვაშლების მოტანა ჩაუთვალეს.“
    ა) ხუთი; ბ) ექვსი; გ) შვიდი.
19. რომელია სინტაქსურად არასწორად დაწერილი წინადადება?
    ა) „შემოიხვია ჰერაკლემ ტანზე მოსასხამი და ენით უთქმელ ტანჯვა-წამებით დალია სული;“
    ბ) „ყველაფერს აკეთებდა ჰერაკლე, რათა ზევსის ყურადღება დაემსახურებინა.“
    გ) „თეზევსს შეებრალა და მოსაკლავად ვერ გაიმეტა.“

20. როგორი სინტაქსური ურთიერთობაა წყვილში: „ზევსის ყურადღება“?
ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა.

სავარჯიშო 3. ლექსიკა, ფრაზეოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

21. რას ნიშნავს სიტყვა „ოპტიმიზმი“?
ა) საუკეთესო გამოსავალს; ბ) მომავლის რწმენას; გ) რაღაცის უარყოფას;
22. რას ნიშნავს სიტყვა „ორატორი“?
ა) ორგვარს; ბ) მრავალფერს; გ) მჭერმეტყველს.
23. რა არის „პათოსი“?
ა) ძლიერი აღფრთოვანება; ბ) პატივისცემა; გ) სინანული.
24. რას ნიშნავს „პაპირუსი“?
ა) საწერ მასალას, რომელიც ქაღალდის გამოგონებამდე გამოიყენებოდა;
ბ) მოსაწევ საშუალებას, რომელიც ძველად გამოიყენებოდა;
გ) საშენ მასალას, რომელსაც ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ.
25. რა არის „პერგამენტი“?
ა) დამუშავებული ხარის ტყავი; ბ) დამუშავებული დათვის ტყავი; გ) დამუშავებული ცხვრის ტყავი.
26. „რაზა“ იგივეა, რაც:
ა) ლითონის საკეტი; ბ) რატომ, რისთვის; გ) დასაბმელი საშუალება.
27. რას ნიშნავს გამოთქმა: „საქციელი წაუხდება“?
ა) ძალიან ეწყინება; ბ) მძიმედ დაეცემა; გ) გაწბილდება, შერცხვება.
28. რა ნიშნავს გამოთქმა: „სოდომის ცოდვები“?
ა) ცოდვის უარყოფა; ბ) დაპირისპირება; გ) ზნეობრივი გახრწნილება.
29. რას ნიშნავს გამოთქმა: „ტოლს არ უდებს“?
ა) არაფერში ჩამორჩება; ბ) თანატოლს ეურჩება; გ) თანატოლს ემეგობრება.
30. რას ნიშნავს გამოთქმა: „ფეხი გადაუბრუნდება“?
ა) ხელი შეეშლება; ბ) დაკოჭლდება; გ) დაეცემა.

სავარჯიშო 4. ლიტთეორია, მხატვრული ხერხები - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (10 ქულა)

31. რას ეწოდება დიალოგი?
ა) ორ პირს შორის საუბარს; ბ) პერსონაჟთა დახასიათებას; გ) მოთხრობის შესავალ ნაწილს.
32. რას ეწოდება მონოლოგი?
ა) რამდენიმე პირს შორის საუბარს; ბ) ერთი ადამიანის საუბარს საკუთარ თავთან ან სხვა პირებთან;
გ) ორ ადამიანს შორის საუბარს, რომლის შედეგადაც შეთანხმება მიიღწევა.
33. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში: „ცეცხლის გამგებელს ხასიათიც ცეცხლივით ბობოქარი ჰქონდა.“
ა) მეტაფორა; ბ) გაზვიადება; გ) შედარება.
34. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში: „გაიქცა მშვენიერი ყვავილისკენ ულამაზესი ასული.“ ?
ა) ეპითეტი; ბ) შედარება; გ) გაზვიადება.
35. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში: „მისი საცოდაობით ქვაც კი ტიროდა.“
ა) ეპითეტი; ბ) შედარება; გ) გაპიროვნება.

ლიდერი კომპანიების შეკითხვები მომავალ ლიდერებს:

ბონუს დავალება - შემოხაზეთ სწორი პასუხი (10 ქულა)

1. **“ლიბერთის” კითხვა:** „პედაგოგები კმაყოფილი ვართ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით, რადგან ჩვენი ყველა მოთხოვნა დროულად სრულდება.“ როგორია მოცემული დამოკიდებული წინადადება?
ა) განსაზღვრებით დამოკიდებული; ბ) დროის გარემოებით დამოკიდებული;
გ) მიზეზის გარემოებით დამოკიდებული;

2. **“ბიუ-ბიუს” კითხვა:** „ბიუ-ბიუ“-ს ქათმის ხორცის მაღაზია მყიდველს <u>მეტად</u> იზიდავს ნედლი და ჯანსაღი პროდუქტის გამო.“ წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა?
ა) ქვემდებარე; ბ) განსაზღვრება; გ) გარემოება;

{ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალების ქულა ძირითადი დავალების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.}